

„რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების მიღების მიზნით გამართული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვის ცხრილი		
კომენტარის წარმდგენი	კომენტარი	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე
<p>სს „სილქნეტის“ წერილის N3963/05-8; თარიღი: 05.07.2024 (კომისიაში რეგისტრაციის Nმ-24-7/2926; თარიღი: 05.07.2024)</p>	<p>1. როგორც თქვენთვის ცნობილია, კომისიამ ჯერ კიდევ 2023 წლის 3 ნოემბრის Nგ-23-06/2364 წერილით გვაცნობა, რომ სილქნეტის F36 და F54 სიხშირულ ლიცენზიებს, მათი ამოწურვის შემდგომ, ვადა აღარ გაუგრძელდებოდა, რადგან კომისიის განმარტებით ელექტრონული კომუნიკაციების კანონმდებლობა ითვალისწინებს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მოქმედების ვადის მხოლოდ ერთჯერადად გაგრძელების შესაძლებლობას. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი პოზიცია არაერთხელ დავაფიქსირეთ შესაბამისი წერილებით (კერძოდ გაცნობეთ, რომ კომისიის განმარტება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მოქმედების ვადის მხოლოდ ერთხელ გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ წინააღმდეგობაში მოდის კანონის 49-ე მუხლთან, ისევე, როგორც კომისიის პრაქტიკასთან).</p> <p>როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ვხედავთ, კომისია ამ შემთხვევაში, რადიოსიხშირული სპექტრის ეროვნულ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით გეგმავს განახორციელოს ზემოაღნიშნული. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე კომისიის N გ-24-23/238 გადაწყვეტილებასა და განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ დედამიწის მიმართ დაბალორბიტალური NGSO თანამგზავრული მომსახურებების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით 10 – 12 გჰც სიხშირულ დიაპაზონში (სადაც სილქნეტი F36 და F54 ლიცენზიებით სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში ფლობს რადიოსიხშირულ რესურსს) ე.წ. „მიტრისის“ სისტემების ფუნქციონირების ვადა შეიზღუდება ლიცენზიების მოქმედების ვადებით.</p> <p>ელექტრონული კომუნიკაციების კანონი კომისიას არ აძლევს შესაძლებლობას ყველა დიაპაზონისა და ლიცენზიის მიმართ გამოიყენოს 47² ან/და 47³ მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიის ვადის გაგრძელება/არ</p>	<p>1. სს „სილქნეტი“ უთითებს, რომ კომისია აპირებს რადიოსიხშირული სპექტრის ეროვნულ გეგმაში ცვლილებების შეტანის გზით შეზღუდოს F36 და F54 ლიცენზიების გაგრძელების უფლება და შესაძლებლობა.</p> <p>„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რადიოსიხშირულ სპექტრს ანაწილებს, აგრეთვე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობას არეგულირებს კომისია. მომზადებული ცვლილება მიზნად ისახავს რადიო სიხშირით სარგებლობის პირობის ცვლილებას, რომელიც დაკავშირებულია სიხშირით სარგებლობის დანიშნულებასთან. აღნიშნული ცვლილება არ არის კავშირში სიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება/არგაგრძელების საკითხთან. ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების ან/და არგაგრძელების საკითხი (გარდა რადიოსიხშირული სპექტრის ჰარმონიზაციის შემთხვევისა) მოწესრიგებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლით და არ წარმოადგენს მიმდინარე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განხილვის საგანს. შესაბამისად, ლიცენზიის მოქმედების ვადასთან დაკავშირებით ცვლილება მიმდინარე საჯარო</p>

<p>გაგრძელების სპეციალური რეჟიმი, რომელიც დაკავშირებულია რადიოსიხშირული რესურსის ჰარმონიზაციასთან. კერძოდ კანონის 47³ (3) პუნქტის თანახმად, მხოლოდ ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მიწისზედა სისტემებისთვის განკუთვნილი დიაპაზონების ჰარმონიზებული ტექნიკური ნორმებისა და პარამეტრების შესაბამისად დაგეგმვისა და დანაწილების მიზნით „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმაში“ ისეთი ცვლილების შეტანისას, რომელიც შეუძლებელს ხდის არსებული და ახალდაგეგმილი ან დანაწილებული რადიოსიხშირების ტექნიკური ნორმებისა და პარამეტრების ერთად შენარჩუნებას, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანაარსებობას, კომისია უფლებამოსილია ამგვარი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს არ გაუგრძელოს ლიცენზიის მოქმედების ვადა შემდგომი ვადით. შესაბამისად, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას რადიოსიხშირული სპექტრის ეროვნულ გეგმაში ცვლილებების შეტანის გზით შეზღუდოს F36 და F54 ლიცენზიების გაგრძელების უფლება და შესაძლებლობა.</p>	<p>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში კომისიის მიერ ინიცირებული არ ყოფილა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სს „სილქნეტის“ კომენტარი ვერ იქნება გაზიარებული კომისიის მიერ.</p>
<p>2. გარდა იმისა, რომ F36 და F54 ლიცენზიებით სილქნეტის სარგებლობაში არსებული სიხშირული რესურსი (10 – 12 გჰც დიაპაზონი) არ წარმოადგენს ევროკომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ დიაპაზონს, სილქნეტის მიერ F36 და F54 ლიცენზიების ფარგლებში დანერგილი მომსახურება და თანამგზავრული მომსახურებები, მათ შორის დედამიწის მიმართ დაბალორბიტალური NGSO თანამგზავრული მომსახურება, დღესაც უპრობლემოდ თანაარსებობს და ხელშეშლებს ადგილი არ ჰქონიათ. დამატებით გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ 10.7 - 11.7 გჰც, 11.7 - 12.5 გჰც და 12.75 - 13.25 გჰც სიხშირული ზოლები, რომლის ფარგლებშიც სილქნეტი ფლობს რესურსს, ITU-ს რადიო რეგულაციების, CEPT-ისა და საქართველოს ეროვნული გეგმის თანახმად, გარდა თანამგზავრული მომსახურებებისა, ასევე ე.წ. co-primary საფუძველზე (თანაბრად პირველადი განაწილება) განკუთვნილია ასევე ფიქსირებული სერვისებისათვის, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მოცემულ დიაპაზონებში შესაძლებელია სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წარმატებით თანაარსებობა.</p>	<p>2. კომენტარის ავტორი უთითებს, რომ სს „სილქნეტის“ მიერ F36 და F54 ლიცენზიების ფარგლებში დანერგილი მომსახურება და თანამგზავრული მომსახურებები, მათ შორის დედამიწის მიმართ დაბალორბიტალური NGSO თანამგზავრული მომსახურება, დღესაც უპრობლემოდ თანაარსებობს და ხელშეშლებს ადგილი არ ჰქონია. მოცემულ შემთხვევაში, სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და მომსახურებების უპრობლემოდ თანაარსებობა განპირობებულია იმით, რომ დაბალორბიტალური NGSO თანამგზავრული მომსახურებით სარგებლობს მომხმარებელთა მცირე რაოდენობა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ სახის მომხმარებელთა რაოდენობა (მათ შორის ე.წ. მოძრავ პლატფორმებზე ESIM დამონტაჟებული ტერმინალები) ქვეყნის მაშტაბით არის მზარდი, რამდენიმე წელიწადში შეუძლებელი გახდება, დაბალორბიტალური ქსელების სტაბილური</p>

	<p>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ F36 და F54 ლიცენზიებით დღესაც არის გათვალისწინებული ხელშეშლების თეორიული ალბათობა და დღესაც განსაზღვრულია ლიცენზიის მფლობელის ვალდებულება 11.7-12.5 გჰც და 12.5-12.75 გჰც სიხშირეებზე ფუნქციონირებისას არ გამოიწვიოს საზიანო ინტერფერენციები თანამგზავრული სისტემების მიმართ.</p> <p>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ კომისიის მიერ F36 და F54 ლიცენზიებთან და 10 – 12 გჰც დიაპაზონთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს F36 და F54 სიხშირულ ლიცენზიებს არ გაუგრძელდეს მოქმედების ვადა, გარდა იმისა, რომ წინაღმდეგობაში მოდის კანონმდებლობასთან, ასევე დაუსაბუთებელია და შესაბამისად არ უნდა განხორციელდეს.</p>	<p>ფუნქციონირება და ამ 2 სისტემის ხელშეშლების გარეშე თანაარსებობა..</p> <p>შესაბამისად, რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმაში შესატანი ცვლილება მიზნად ისახავს ასეთი ხელშეშლების თავიდან აცილებას.</p> <p>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია ვერ გაიზიარებს სს „სილქნეტის“ კომენტარს.</p>
<p>შპს „მაგთიკომის“ წერილის NED-24/07/05-004; თარიღი: 05/07/24; (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-24-6/2917; თარიღი: 05.07.2024).</p>	<p>1. პროექტის თანახმად, ITU-ს პირველი რეგიონისთვის განსაზღვრული მომსახურებების გათვალისწინებით, 3800–4200 მჰც სიხშირულ დიაპაზონისთვის განკუთვნილ გრაფაში, მე-4 სვეტში (გამოყენება ეროვნულ დონეზე), დაემატა ჩანაწერი „მობილური გამოყენებები“. შესაბამისად, მოცემული დიაპაზონისთვის ევროკომისიის მიერ CEPT-ისთვის მიცემული მანდატის გათვალისწინებით განისაზღვრა გამოყენების წესი არაავტორიზებული პირების მიერ დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებებისთვის. ორაზროვნების გამოსარიცხად, გთხოვთ, მიგვითითოთ შესაბამისი კონკრეტული მაგალითები. ამასთან, გთხოვთ განგვიმარტოთ, ექნება თუ არა შესაძლებლობა ავტორიზებულ პირს გამოიყენოს 3800-4200 მჰც სიხშირული დიაპაზონი დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით?</p>	<p>1. ეროვნულ დონეზე მობილურ გამოყენებებთან მიმართებით 3800-4200 მჰც სიხშირული დიაპაზონის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ მხოლოდ არაავტორიზებულ პირებს.</p> <p>აღსანიშნავია რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომისია ავტორიზებულ პირს ავტორიზებული საქმიანობის განსახორციელებლად ანიჭებს რადიოსიხშირეებით სარგებლობის უფლებას რადიოსარეგულაციის ქსელის ფუნქციონირებისთვის დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით.</p> <p>ამასთან ერთად ევროკომისიის CEPT-ისთვის გადაცემულ მანდატში ნათლად არის აღნიშნული 3.8-4.2 გჰც სიხშირულ ზოლში მცირე და საშუალო სიმძლავრის 5G ქსელები უნდა გახდეს ე.წ. „ვერტიკალური სექტორის“ (როგორცაა ტრანსპორტი ლოჯისტიკა, ჯანმრთელობა, ენერჯეტიკა, ჭკვიანი საწარმოები, მედია და ა.შ.) ციფრული მოდერნიზაციის ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორი. ასეთი ქსელები უკვე დანერგულია ევროპის რიგ ქვეყნებში: პარიზის აეროპორტი (საფრანგეთი), ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია (შვედეთი), ანტვერპენის</p>

		<p>პორტი (ბელგია), ფრანკფურტის აეროპორტი (გერმანია), ავტომატური პარკირების სისტემა (საფრანგეთი), წიაღისეული მოპოვება (ფინეთი).</p>
	<p>2. პროექტის თანახმად, 2500-2700 მჰც სიხშირული დიაპაზონისთვის განკუთვნილ გრაფაში, მე-4 სვეტს (გამოყენება ეროვნულ დონეზე) დაემატა ჩანაწერი „წერტილი-მრავალწერტილი“. ასევე, მე-5 სვეტს (შენიშვნები) დაემატა ჩანაწერი „წერტილი-მრავალწერტილი: მაუწყებლობის ტრანზიტის დანიშნულებებით, მეორადი გამოყენების უფლებით რადიოსიხშირული ზოლისთვის 2500-2700 მჰც (მობილური გამოყენების გარდა)“. სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმის თანახმად, 2500-2690 მჰც სიხშირული დიაპაზონი განკუთვნილია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწისზედა სისტემებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სიხშირული დიაპაზონი გამოყენებული იქნება ავტორიზებული პირის მიერ მობილური სერვისებისთვის, რა მექანიზმებით მოხდება ხელშეშლების თავიდან აცილება მობილურსა და წერტილი-მრავალწერტილი მაუწყებლობას შორის.</p>	<p>2. 2500-2700 მჰც სიხშირული დიაპაზონის გამოყენება „წერტილი-მრავალწერტილი მაუწყებლობის ტრანზიტის დანიშნულებებით შესაძლებელი იქნება მხოლოდ მეორადი გამოყენების უფლებით. 2500-2700 მჰც სიხშირული დიაპაზონის გამოყენებით მობილური საკომუნიკაციო და წერტილი-მრავალწერტილი მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურებების მიწოდებისას ხელშეშლის წარმოქმნის შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომლებიც გათვალისწინებული იქნება წერტილი-მრავალწერტილი მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურებების გაწევის მიზნით გაცემული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის პირობებში.</p>